ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი #4

ქ. ცაგერი 25 მარტი, 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვასილ საღინაძე
ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მარიკა კოპალიანი, ონისე ჩაკვეტაძე;
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები: გიორგი გუგავა, თამაზი ჭაბუკიანი,
ზაზა ყურაშვილი, ნოდარი საღინაძე, ელენე საღინაძე;
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე:
დავით მუშკუდიანი;
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეები:
გივი გოგებაშვილი, ნატო ბურჯალიანი, მამუკა მამარდაშვილი,
მამუკა ჩიქოვანი, ოთარი თვარაძე, ბესიკი ჩანქსელიანი.

ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარის მოადგილე: ნიკა ქომეთიანი;
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე: გოგიტა ახვლედიანი
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე: გოდერძი ახვლედიანი.
საკრებულოს წევრები: მურმანი თოთაძე, ჯონი ხალიანი, გორდა გვიშიანი,
მარი ბურჯალიანი, თინათინი ნემსწვერიძე, თამაზ თვარაძე,
ხვიჩა ჩხეტიანი, გიორგი გოლეთიანი, ბერდია კვირიკაშვილი,
კახა ყურაშვილი;

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოდგილის მოვალეობის შემსრულებელი:
მამუკა ლათოდიანი
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:
ქეთევან კოპალიანი
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გიორგი ხმელიძე
მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი: დავით ჩიქოვანი
მერიის აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი: დათუნა ლეთოდიანი

საკრებულოს აპარატის უფროსი: თამთა ონიანი
საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ‘‘ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში .

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. კოპალიანი/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1000.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.003.21.241) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობისგადაცემის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ვ. საღინაძე, ჭ. ჭაბუკიანი, თ. ონიანი, ზ. ხეცურიანი/

სხდომის თავმჯდომარემ - ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ვ. საღინაძე, მ. კოპალიანი/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1000.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.003.21.241) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე ცაგერის ნ=მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობისგადაცემის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ვ. საღინაძე, ჭ. ჭაბუკიანი, თ. ონიანი, ზ. ხეცურიანი/

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთევან კოპალიანმა. 2026 წლის ბიუჯეტში მეოთხე ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა განმარტებითი ბარათით:

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის #25 დადგენილებით და განისაზღვრა 17361,5ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში მეოთხე ცვლილების შეტანის საფუძველია „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის #2260-2 განკარგულება (2025 წლის 29 დეკემბრის #2260 განკარგულების ცვლილება). განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა არაუმეტეს 276467 (ორასსამოცდათექვსმეტიათას ოთხასსამოცდაშვიდი) ლარისა, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში, ხოლო გადასახდელებში :

- **ზოგადსაგანმანათლებლო ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა „ორგ. კოდი 04 05" -**

263117(ორასსამოცდასამიათასასჩვიდმეტი) ლარი. აღნიშნული თანხით მოხდება

ორბელის და ლუხვანოს საჯარო სკოლების მიმდინარე რემონტი.

- **რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება(ორგ.კოდი 02 06) – 13350(ცამეტიათასსამასორმოცდაათი)** ლარი. ორბელისა და ლუხვანოს საჯარო სკოლების მიმდინარე რემონტის დაპროექტირება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში წინამდებარე ცვლილება ასევე დაკავშირებულია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 11 მარტის #519 განკარგულება. განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა არაუმეტეს 53405 (ორმოცდაცამეტიათასოთხასხუთი) ლარისა,

რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში , ხოლო გადასახდელებში :

- **სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა „ორგ. კოდი 04 04“ – 53405 ლარი**,(სოფელ ქვედა ცაგერის საბავშვო ბაღის აღჭურვისათვის).

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საფუძველია ფაქტობრივად შექმნილი მდგომარეობის გამო ბიუჯეტით გათვალისწინებულ პრიორიტეტებსა და პროგრამებს შორის რესურსების გადანაწილება. აღვნიშნავთ რამდენიმე მიმართულებას: კერძოდ:

- როგორც თქვენთვის ცნობილია ფართზე , სადაც განთავსებულია ა(ა)იპ „ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი“ , დროებით სარგებლობისათვის გადაცემულია პოლიციის ცაგერის რაიონულ სამმართველოზე(პოლიციის შენობის რემონტის გამო). შესაბამისად გაიზარდა კომუნალური გადასახადები (დენი, წყალი), დენის გადასახადს იხდის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო წყლის გადასახადს ა(ა)იპ „ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი“ . ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო ა(ა)იპ-ს მიმდინარე ეტაპზე ამოეწურა რესურსი და ითხოვს თანხის დამატებას.
- ასევე აღვნიშნავთ, რომ ბიუჯეტის პრიორიტეტში „განათლება 04 00“ ოპერატიული აღრიცხვის, ანალიზის და სტატისტიკისათვის დაემატა რამდენიმე პროგრამა , კერძოდ, სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია- მშენებლობა, ზოგადსაგანმანათლებლო

- ობიექტების რეაბილიტაცია-მშენებლობა და საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, შესაბამისად მოხდა თანხების გადატანა კეთილმოწყობის ღონისძიებებიდან და ტრანსპორტის სუბსიდირებიდან თანხების გადატანა ზემოთ მითითებულ პროგრამებში. ცვლილება შეეხო ასევე ტელე-რადიო მაუწყებლობას და საგამომცემლო საქმიანობას, პროგრამა საჭიროებს გაზრდას.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად

შემცირდა:

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (ორგ.კოდი 05 02 06) – 1110 (ერთიათასასათი) ლარით,
- სარეზერვო ფონდი (ორგ.კოდი 010201) – 3000 (სამიათასი) ლარით,
- კეთილმოწყობის ღონისძიებები (ორგ.კოდი 02 05 01) – 277652 (ორასსამოცდაჩვიდმეტიათას ექვსასორმოცდათერთმეტი) ლარით.

გაიზარდა

- ტელე რადიო მააუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა(ორგ.კოდი 06 02 07) - 1110ლარით(ერთიათასასათი).

- ა(ა)იპ „ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი“-ის სუბსიდია - 3000(სამიათასი)ლარით.
- ზოგად საგანმანათლებლო ობიექტების რეაბილიტაცია-მშენებლობა(ორგ.კოდი 04 05) - 277652(ორასსამოცდაჩვიდმეტიათასექვსასორმოცდათერთმეტი) ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 329872(სამასოცდაცხრათასრვაასსამოცდათორმეტი) ლარით და განისაზღვრა 27184,96 ათ,ლარით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.**

საკითხი 2

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“.**

აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოადგინა და დეტალურად ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთევან კოპალიანმა. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარმოადგინა განმარტებითი ბარათით:

განმარტებითი ბარათი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის #23 დადგენილებით და განისაზღვრა 13469,2 ათ. ლარით. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში განხორციელდა 9 ცვლილება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის განაწილებით, ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი თანხების ასახვით და ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების ზოგიერთ სახეობაში წლიურ საგეგმო მაჩვენებელზე მეტობით შემოსული თანხების ბიუჯეტში ასახვით და პრიორიტეტებზე გადანაწილებით. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტმა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების გათვალისწინებით შეადგინა 26136,0 ათ.ლარი. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენდა 23639,7 ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 24014,4 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 101,6 %-ით. მათ შორის საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულდა 102,9%-ით, გეგმა განისაზღვრა 12655,0ათ,ლარით, ხოლო ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 13021,7 ათ,ლარი, აქედან ქონების გადასახადის გეგმა შესრულდა 130,4 %-ით (გეგმა 950,0ათ,ლარი, შესრულება 1238,3ათ,ლარი), ხოლო დღგ-ს გეგმა შესრულდა101%-ით, (გეგმა 11705,0ათ,ლარი, შესრულება 11783,4ათ,ლარი).

გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 10502,8ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 10564,0 ათ ლარი, ანუ გეგმის 100,6 %, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა 1315,8 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 851,2 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 64,7 %–ით, კაპიტალური ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 6102,0 ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 6631,8ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 108,7 %-ით.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 481,9ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 428,7ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 89 %–ით, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 204,9 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 196,9 ათ. ლარი, გეგმა98,5 %–ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 12,4 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 114,4 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 116.1%–ით, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 53,6 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 28,7 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 53,6%–ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 65,0ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 35,9 ათ. ლარი ანუ გეგმის 55,2 %, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა იყო 100,0 ათ.ლარი და ფაქტიურად შემოსულია 112,1ათ.ლარი გეგმა შესრულდა 112,1 %-ით. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავალის გეგმა შესრულდა 131,4 %-ით. (გეგმა 80,0 ათ.ლარი, ფაქტი 105,1 ათ.ლარი) .

დაგეგმილი გადასახადებიდან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 1467,1ათ. ლარი, დაიხარჯა 1455,7 ათ. ლარი, ათვისებული იქნა 99,2 %. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 4125,9ათ ლარი, დაიხარჯა 4071,6ათ ლარი, ანუ ათვისებულ იქნა 98,7 %-ით. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 12078,4ათ.ლარით და დაფინანსდა 9893,8 ათ.ლარით, მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა–შენახვა დაფინანსდა 6275,5 ათ.ლარით, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 432,7 ათ. ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 1018,0 ათ. ლარით ,წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 585,2 ათ.ლარით, ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები დაფინანსდა 295,8ათ. ლარი, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებების ხარჯია 74,7 ათ.ლარი, კომუნალური მომსახურეობა დაფინანსდა 179,5ათ.ლარით, ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 120,3 ათ.ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 535,1 ათ.ლარით. დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდა 22,6 ათ.ლარით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა ღონისძიებები უნდა დაფინანსებულიყო 994,0 ათ.ლარით და დაფინანსდა 993,8ათ ლარით,გეგმა შესრულდა 99,9%-ით.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები ათვისებულია 99.4%-ით (გეგმა 2320,8 ათ ლარი, ფაქტი - 2305,8 ათ. ლარი). მათ შორის: სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 99,4%–ით (გეგმა – 2188,3 ათ. ლარი, ფაქტიური – 2175,1 ათ. ლარი). მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 99,0 %–ით (გეგმა –132,0 ათ. ლარი, ფაქტიური 130,7 ათ. ლარი).

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები უნდა დაფინანსებულიყო 3901,1 ათ.ლარით და დაფინანსდა 3874,2ათ ლარით,გეგმა შესრულდა 99,4%-ით. მათ შორის: ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 99.9%-ით, (გეგმა 515.8ათ.ლარი, ფაქტი 515.7ათ.ლარი), საფეხბურთო კლუბი „ხვამლი„ დაფინანსდა100%-ით (გეგმა 292.3ათ.ლარი, ფაქტი 292.3ათ.ლარი),ფრენბურთის კლუბი ცაგერი დაფინანსდა 99,7%-ით (გეგმა 258.0ათ.ლარი,ფაქტი 257.3ათ.ლარი) კულტურის ცენტრი დაფინანსდა 98.8%-ით, (გეგმა 571.7ათ. ლარი ფაქტი 565.0 ათ.ლარი), ისტორიული მუზეუმი დაფინანსდა 90,0%-ით (გეგმა 297,8ათ. ლარი, ფაქტი 294,9ათ.ლარი), სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 99,7%-ით (გეგმა 144,9თ.ლარი, ფაქტი 144,5ათ.ლარი) ,სამხატვრო სკოლა დაფინანსდა 99,4%-ით (გეგმა 102,7ათ. ლარი, ფაქტი 102,1ათ.ლარი), მთავარი ბიბლიოთეკა დაფინანსდა 97,6 %– ით (გეგმა - 328,7 ათ ლარი, ფაქტიური - 320,8ათ.ლარი), რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინასდა 100%-ით (გეგმა 32,4ათ.ლარი ფაქტი 32,4ათ.ლარი), ,ა(ა)იპ ქალთა და ბავშვთა უფლებების ცენტრი" დაფინანსდა 99,7%-ით (გეგმა 236,5ათ.ლარი, ფაქტი 235,7 ათ.ლარი),ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაფინანსდა 98,7%-ით, (გეგმა 106,7ათ.ლარი, ფაქტი 104,9ათ.ლარი),ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი დაფინანსდა 99,9%-ით (გეგმა 583,4ათ.ლარი,ფაქტი 583,0 ათ.ლარით), ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 194,7ათ.ლარი, ფაქტი 194,7 ათ.ლარი). დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმი „ღია ცის ქვეშ“ დაფინანსტა 99,8 %-ით. (გეგმა 8/1,9ათ,ლარი, ფაქტიური შესრულება 81,7ათ,ლარი).

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები დაფინანსდა 97,6%-ით (გეგმა 1238,8ათ.ლარი ფაქტი 1208,9ათ.ლარი), მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 97,6%-ით (გეგმა 191,2 ათ. ლარი, ფაქტი 186,6 ათ.ლარი) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსდა 97,2%-ით (გეგმა 911,1 ათ. ლარი, 81885,7ათ.ლარი). უფასო სასადილოები დაფინანსდა 100 %-ით (გეგმა 136,6ათ.ლარი ფაქტი 136,6ათ. ლარით).

2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესახებ, ასევე პრიორიტეტების მიხედვით ფაქტიურად განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების შესახებ დეტალური მაჩვენებლებით მოცემულია თანდართულ დოკუმენტებში.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის შესყიდვების ანგარიშის მოსმენისა და ცნობად მიღების თაობაზე“.**

საკითხი 3

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **„ცაგერის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.**

აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარემ მარიკა კოპალიანმა ისაუბრა ქალისა და კაცის თანასწორობის შესახებ სტერეოტიპული აღქმებისა და დისკრიმინაციული მიდგომების შემცირებაზე ადგილობრივ საზოგადოებაში, ასევე თანასწორობის საკითხებზე საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარების, ადგილობრივი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, თანასწორობაზე ორიენტირებული პოზიტიური დამოკიდებულებების გაძლიერების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **„ცაგერის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.**

საკითხი 4

„ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1000.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.003.21.241) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობისგადაცემის თაობაზე“.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **„ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1000.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.003.21.241) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობისგადაცემის თაობაზე“.**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ, აღნიშნა რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში 2026 წლის 12 მარტს შემოსულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ცაგერში აღმაშენებლის ქუჩა 71-ში მდებარე 1000.00კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 89.03.21.241 სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა. იმ მიზნით, რომ სახელმწიფო შემდგომში აღნიშნულ მიწის ნაკვეთს უსასყიდლოდ, სარგებლობის და აღნაგობის უფლებით გადასცემს ,,საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს'' სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოახდინა მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის დაყოფის რეგისტრაცია და მიღებული 1000.00კვ. მეტრის მესაკუთრედ განისაზღვრა ცაგერის მუნიციპალიტეტი. აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია სსიპ ქონების ეროვნულ სააგენტოს წერილის მოთხოვნის მიხედვით მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.03.21.241) უსასყიდლოდ გადაცემა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1000.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.003.21.241) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობისგადაცემის თაობაზე“.**

საკითხი 5

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.**

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის დასრულების შემდეგ სიტყვა ითხოვა ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ გოგიტა ახვლედიანმა, აღნიშნა რომ აქვს კითხვები, თუ რატომ ვერ დასრულდა შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ცაგერის საავადმყოფოს ინფრასტრუქტურული განახლება და გადაუდებელი დახმარების ცენტრის რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტებით, ასევე ზედა და ქვედა აღვის წყალსადენის და წიფერჩის წყალსადენის რეაბილიტაციის პროცესი. ისაუბრა ქალაქ ცაგერის ქუჩების მდგომარეობაზე, მოითხოვა ცაგერის საავადმყოფოსთვის რეანიმობილის გამოყოფა.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ფრაქცია ,,ლეხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარეს გოგიტა ახვლედიანს უპასუხეს საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ და ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ თამაზი ჭაბუკიანმა:

- შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ცაგერის საავადმყოფოს სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს ჯანდაცვის სამინისტროს დაკვეთით. მშენებელს მიეცა გარკვეული მითითებები მშენებლობის ხარისხთან დაკავშირებით, რაზედაც ვალდებულია რეაგირება მოახდინოს და გამოასწოროს გარკვეულ ვადებში.

- ზედა აღვისა და წიფერჩის წყალსადენთან დაკავშირებით მშენებელსა და მუნიციპალიტეტს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა, სასამართლო დავის მიუხედავად მუნიციპალიტეტი პერიოდულად ახორციელებს აღნიშნულ ობიექტებზე სარემონტო სამუშაოებს, რაც შეეხება ქვედა აღვის წყალსადენს, აღნიშნულ ობიექტზე მშენებელს აქვს საგარანტიო ვადა მიმდინარე წლის ნოემბრამდე და ყვალა წარმოშობილ ხარვეზს თავად აღმოფხვრის.

- ქალაქ ცაგერის ქუჩებში მოხდა ასფალტობეტონის საფარის დაზიანება წყალსადენის მოწყობის სამუშაოებიდან გამომდინარე. მშენებელი ორგანიზაცია ასფალტობეტონის სრულ აღდგენამდე ახორციელებს გადაჭრილი გზების შევსებას ხრეშოვანი მასალით.

- რაც შეეხება რეანომობილს, ამ ეტაპზე ერთი რეანომობილი ემსახურება ლენტეხისა და ცაგერის მუნიციპალტეტებს, კიდევ ერთი რეანომობილის დამატებასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროსთან მიმდინარეობს მოლაპარაკება-კონსულტაციები.

საკრებულოს თავმჯდომარე: ვასილ საღინაძე